№984 2015 წლის 15 მაისი ქ. თბილისი

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის ქონების გაცვლაზე თანხმობის მიცემის თაობაზე

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს მიეცეს თანხმობა, რომ შპს „ჩირინას“ (საიდენტიფიკაციო კოდი №203842137) საკუთრებაში გადასცეს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფელ სართიჭალაში მდებარე 16444,00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №81.12.11.593), შპს „ჩირინას“ საკუთრებაში არსებული, გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფელ სართიჭალაში მდებარე 16444,00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №81.12.11.592) სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის სანაცვლოდ.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გაცვლის პირობად განისაზღვროს შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არა

უმეტეს 12 (თორმეტი) თვის ვადაში, გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფელ სართიჭალაში მდებარე 16444,00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №81.12.11.592) 3 (სამი) მწკრივიანი ქარსაფარი ზოლის (თითოეული - მწკრივის სიგრძე არანაკლებ 750 (შვიდას ორმოცდაათი) მეტრი, მწკრივებს შორის დაშორების მანძილი არა უმეტეს 3 (სამი) მეტრი, ხოლო ნარგავებს შორის - არა უმეტეს 3 (სამი) მეტრი) გაშენება შემდეგი სახით:

ა) სანერგე ხე-მცენარეების დარგვა ჭადრაკული პრინციპით;

ბ) სანერგედ ორი ან მეტი წლოვანების მქონე ხე-მცენარეების გამოყენება;

გ) სანერგე ხე-მცენარეებად შემდეგი ჯიშების გამოყენება: ვერხვი, ფიჭვი ან/და იფანი.

3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიების განხორციელება.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**